პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

□ სამშაბათი 16 მაისი 1978 წ. □ № 115 (17159) □ ფასი 2 კაპ.

პარტიული მუშაკის დრო

პარტიული კომიტეტის მუშაკს ყოველდღიურად უამრავი გადაუდებელი და დიდმნიშვნელოვანი საქმე აქვს. ცხოვრება ათობით საკითხს სვამს, ზედიზედ სხვადასხვა საზრუნავს ბადებს. ისინი აჩქარებენ, მოითხოვენ, გადაწყვეტას მოელიან. როგორ უნდა გამოძებნოს ყოველივე ამისათვის დრო?

დიახ, დღე-ღამეს ვერ გაახანგრძლივებ. მაგრამ არის დროის შემჭიდროების ხერხი: უკეთ უნდა მოაწყო საკუთარი შრომა, ხელი არ მოჰკიდო ერთბაშად მრავალ საქმეს, მათი ნაკადიდან აირჩიო უმთავრესი, რომელიც გადაუდებელია, და ენერგიულად მიიყვანო იგი ბოლამდე. სამუშაო ხაათების გამოყენება გაუმჯობესდება, უკუგება გაიზრდება.

ხუთწლედის, მისი მესამე წლის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უნარიანად მოქმედებს თითოეული პარტორგანიზაცია. სკკპ XXV ყრილობის ეფექტიანობისა და ხარისხის კურსს უშუალო დამოკიდებულება აქვს პარტიული მუშაობის სტილთან. ნებისმიერი საქმის ეფექტიანობის ამაღლება კი უწინარეს ყოვლისა დროის რაციონალურ გამოყენებას ნიშნავს. მხოლოდ ასე გავაძლიერებთ პარტიული აპარატის მაორგანიზებელ როლს, უზრუნველვყოფთ მის ზუსტ, შეწყობილ, შებრეგიან ყოველდღიურ შრომას.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენ უნდა ვისწავლოთ მუშაობა რიტმულად, თანაბარზომიერად, ისე, რომ არ გვქონდეს ჩავარდნები. ეს მოთხოვნა წარმმართველი უნდა იყოს თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული შრომითი კოლექტივის ცხოვრებასა და საქმიანობაში“.

მოთხოვნა მიზანდასახულად, გონივრულად გამოვიყენოთ ხამუშაო წუთი და ვიმუშაოთ რიტმულად მთლიანად ეხება თითოეულ პარტიულ კომიტეტსაც. ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება, მაგალითად, კალინინგრადის ოლქში. „პრავდაში“ უკვე იყო საუბარი ხოლქო ცენტრის სკკპ ლენინგრადის რაიკომის გამოცდილების შესახებ. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ყველა მუშაკმა აქ ერთი თვის განმავლობაში ორჯერ მოაწყო შრომითი დროის „თვითფოტოგრაფირება“. მიღებული მასალა გულდასმით გააანალიზეს, მაგრამ, რაც მთავარია, ამ ანალიზის საფუძველზე რაიკომში განახორციელეს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის სრულყოფისათვის.

ახლა მეტი წილი კომიტეტების პრაქტიკაში სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება პერსპექტიული დაგეგმვა. იგი არა მარტო გვეხმარება უკეთ დავინახოთ ძირითადი მიზნები და ამოცანები, თავი მოვუყაროთ ძალებს წარმოების ეფექტიანობისათვის ბრძოლის მაღისტრალურ მიმართულებებზე. არამედ შეაქვს კიდეც მეტი ორგანიზებულობა პარტიული აპარატის — ყველა მისი განყოფილების. თითოეული მისი მუშაკის მუშაობაში. მაგრამ ზოგიერთ კომიტეტში დაგეგმის დროს ჯერ კიდევ მოსდით ბევრი შეცდომა. რომლებიც აჭარწყლებენ კარგ ჩანაფიქრს. ზოგჯერ პერსპექტიული გეგმას იმდენად არაკონკრეტული, ზოგადი ხასიათი აქვს, რომ პრაქტიკულად ახეთი გეგმით ხელმძღვანელობა შეუძლებელია. ფორმალურია ხოლმე მიმდინარე პერსონალის გეგმების შეფასებაც. რაკი ინვენტარ ბირ ფუსფუსს, ზშირ ხაჩიერებს. მიმდინარე საქმეების გამო. ადამიანები დაძაბულად, ძალ-ღონის დაუზოგავად შრომობენ, მაგრამ ხასურველ ნაყოფს ვერ იღებენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ აღნიშნულია, რომ პარტიული აპარატის მუშაკებმა ძირითადად მეცადინეობა უნდა მოახმარონ პარტორგანიზაციათა ცხოვრებისა და საქმიანობის გაუმჯობესებას. მათთვის პრაქტიკული დახმარების აუცილებელ შესრულების შემოწმებას. ამისათვის ყველა პირობა უნდა შეექმნათ. რა თქმა უნდა. ნორმალურად ვერ ჩაითვლება თქმები, როცა რაიკომისა თუ საქალაქო კომიტეტის ზოგიერთი მუშაკი, მოუცლელობის, სხვადასხვა დადგენილების მომზადების მომიზეზებით. თვეობით არ მიდის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებში. არ ხდება ადამიანებს. არ გამოდის მათ წინაშე. და გამოდის, რომ სწორედ ყველაზე მთავარი საქმისათვის დრო არ ყოფნით.

თითოეული დადგენილების თითოეული ღონისძიების საჭიროების განსაზღვრისადმი. მოფიქრებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს ბევრი დრო გამოვნახოთ უშუალოდ ორგანიზაციებში მუშაობისათვის სწორი არ არის პარტიული კომიტეტის საქმიანობის შესახებ ვიმსჯელოთ მხოლოდ იმით, „მოისმინეს“ თუ „არ მოისმინეს“ რომელიმე საკითხი ზუსტი პოლიტიკური მიზანდასახულობა ვიერგილიანობა, პრაქტიკული შედეგები — აი კრიტერიუმები, რომლებითაც შეიძლება და კიდეც უნდა შეფასდეს პარტიული მუშაობა.

ერძოდ, ახეთ მიდგომაზე იყო საუბარი პარტიის ტამბოვის ხოლქო კომიტეტის ამსწრენდელ პლენუმზე. რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოფლის მეურნეობიდამი ამ საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ. წარმოების მეტად ნელი ტემპი. ოლქის ეკონომიკურ განვითარებაში დაშვებული სხვა სერიოზული ნაკლოვანებანი დაკავშირებული იყო საოლქო კომიტეტის ბიუროს. სამდივნოს. განყოფილებების მუშაობის ცუდ დაყენებასთან-ერთ სხდომებით. მრავალი გადაწყვეტილების მიღებით გატაცებული ბიურო. მაგალითად, ყოველწლიურად განიხილავდა დაახლოებით 115 საკითხს სოფლის მეურნეობის შესახებ. აქ კი მათ დამაკმაყოფილებლად არ ახრულებდნენ.

პარტიული კომიტეტის მუშაკები რომლებიც მოვალენი არიან დარაზმონ სხვები. თვითონაც უნდა იყვნენ ორგანიზებულობის მაგალითი. ბეჭითად სწავლობდნენ ამას. სემინარები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები. პარტიული კრებები აპარატში უფრო სრულად უნდა იყოს გამოყენებული ხაუკეთესო გამოცდილების კონკრეტული ანალიზისა და განზოგადებისათვის. აქ ძალიან ბევრი საკითხია: მოვალეობათა სწორი განაწილებაც, აქტივზე დაყრდნობით მასთან მუშაობის უნარიც მივლინებების ან პირველადს ორგანიზაციებში მისვლის ნაყოფიერებაც. მეორეხარისხოვანი მუშაობა როდი აქვს პარტიული კომიტეტის პირობებში საქმის ისეთ მხარეს, როგორიც არის ორგტექნიკის გამოყენება.

როცა მუშაობის ლენინურ სტილს ვეუფლებით. სასარგებლოა ზშირად გამოვიყენოთ ხოლმი ვლადიმერ ილიას ძის მაგალითი. ისტორიული პერსპექტივის განჭვრეტის. პოლიტიკური ამოცანების მთელი ჯაჭვიდან მთავარი როგოლის არჩევის უნარი, უაღრესი მომთხოვნელობა. შრომის ხანმოშეო კულტურა და მისი ნამდვილად მეცნიერული ორგანიზაცია ეხმარებოდა ლენინს იმდენი საქმე გაეკეთებინა, რომ ეს თითქოს ადამიანის შესაძლებლობებსაც კი აღემატებოდა. მისი თანამშრომლების მოგონებებით თუ ვიმსჯელებთ. ისაც უფრო მეტი სამუშაო აწვებოდა. მით უფრო ნაკლებს ღელავდა იგი. მით უფრო ნაკლებად იყო გარეგნულად ნერვული, ყველაფერს გარკვეულ გეგმას უმორჩილებდა“.

პარტიული აპარატის საქმიანობის სრულყოფა თვითმიზანი არ არის. იგი როგორც პრაქტიკა მოწმობს. საგრძნობ გავლენას ახდენს პარტორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებში მუშაობის მიმდინარეობაზე. იქ. სადაც დღენიადაგ ზრუნავენ ამისათვის, უფრო წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, უკეთ წყვეტენ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ სოციალურ და იდეურ-აღმზრდელობითს ამოცანებს.

ПРАВДА 15 მაისის მოწინავე

მეცხრამეტეს საუკუნის



ხელვაჩაურის რაიონის ხოფელ ჩაისუბნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ციტრუსების ბაღების მკურნალობა. სპეციალური ბრიგადა მუშაობს ხეებისათვის ზეთის ემულსიების შესხურებაზე. უკვე დამუშავებულია 300 ჰექტარზე მეტი ციტრუსის პლანტაციები.

ბრიგადა ხეების მკურნალობის ხამუშაოების დამთავრებას ვადაზე ათი დღით ადრე ვარაუდობს. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსეები წელს პირობას დებენ, რომ მოკრეფენ 400 ტონა ნაყოფს, ბევრად მეტს, ვიდრე შარშან.

სურათზე: ციტრუსის პლანტაციების მკურნალობა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

წარმატებით შრომობს ხუთწლედის მესამე, დამკვრელურ წელს თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი. განვლილ ოთხ თვეში გეგმით გათვალისწინებული მილიონ 274 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამომუშავებულია მილიონ 329 ათასი მანეთის ნაწარმი, პროდუქციის რეალიზაციის დავალებას აქ 45 ათასი მანეთით გადაჭარბებს. დამზადებულ 64.100 ეკი სამშენებლო ნახევარფაფური, ორას ორმოცდაათ კვადრატულ მეტრამდე მოსაპირკეთებელი ფილა, რაც ნავარაუდევზე 6304 კვადრატული მეტრით მეტია.

იანვარ-აპრილში შრომის ნაყოფიერების დავალება კერამიკოსებმა 1,3 პროცენტით გაუმარჯდა.

კომბინატის კოლექტივი მისსმიც ინარჩენებს ალებულ ტემპს. მისი სახსრებით დეგზია — ხუთწლედის სამი წლის გეგმა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის!

მ. ნაბუეგია.

აუმჯობესებენ ხარისხს

180 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა განვლილ 4 თვეში თბილისის სამრეწველო გაერთიანება „კრწანისის“ კოლექტივმა. საერთოდ კი მოსახმარებელმა მიიღო 5 მილიონ 260 ათასი მანეთის მამაკაცისა და ქალის წინდები.

გაერთიანების კოლექტივს, რომელიც იბრძვის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უფრადღების ცენტრში აქვს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ამჟამად აქ მზადდება ხუთი სახეობის ხარისხისნიშნიანი ნაწარმი, რომლის მასობრივი წარმოება სისტემატიურად იზრდება. განვლილ ოთხ თვეში გაერთიანებამ მოქსოვა და საფაქრო ქსელს მიაწოდა 162 ათასი მანეთის უმაღლესი ატესტაციის საქონელი, რითაც გეგმა 212 პროცენტით შესრულა.

თ. ჟღენტი.

გუშინ მინდვრებსა და პლანტაციებში

საბარეჯო. რაიონის მზვნელმთესველები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის სახელობის კოლმეურნეობაში ამაღლებენ შეტევას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა ფრონტზე. აქ ორგანიზებულად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 381 ჰექტარით მეტ ფართობზეა დათესილი საგაზაფხულო კულტურები. გეგმის გადამეტებით არის შესრულებული სამარცვლე შვრიისა და მზესუმზრის თესვა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2175 ჰექტარისა დათესა 1903 ჰექტარი სამინდი. საგეგმიზე 139 ჰექტარით მეტია დათესილი ერთწლოვანი ბალახები.

კასპი. მიუხედავად გაჭიანურებული გაზაფხულისა, კასპის რაიონის მემინდვრეებმა აგროვადებში დაამთავრეს შაქრის ჭარხლის, მზესუმზრის, მრავალწლიანი და ერთწლოვანი ბალახების თესვა. კარგი აღმონაცენია 390 ჰექტარ ჭარხლის ნათესებში. სადაც უკვე მიმდინარეობს ნიადაგის გაფხვიერებისა და გამოსზირვის სამუშაოები.

უამინდობამ, მართალია, შეაფერხა სამარცვლე სიმინდის თესვა, მაგრამ ეს კულტურაც უფრო მეტ ფართობზე დათესა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. კერძოდ, 995 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 1050 ჰექტარი.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბოსტნეულის ჩითილების გადარგვა.

ლანჩხუთი. გადაუდებელმა წვიმებმა დიდად შეაფერხა ხაგაზაფხულო სამუშაოები რაიონში, მაგრამ ლანჩხუთელმა მშრომელებმა თითოეული მუშაკის შრომის რაციონალური მოწყობითა და შრომითი რესურსების უნარიანი მანევრირებით ყველა პირობა შექმნეს ომისათვის, რომ საგაზაფხულო კულტურების თესვა აგროვადებში დაამთავრონ. ახლა აქ ყოველდღიურად 250-300 ჰექტარზე ითესება სიმინდი სამარცვლედ. დაჩქარდა აგრეთვე სოიასა და ბოსტნეულის თესვის ტემპი.

უკვე ერთი კვირაა, რაიონში მიმდინარეობს ჩაის თოთლის შერჩევითი კრეფა. გუშინ მოკრეფილი იყო 427 ტონა ჩაის ნედლეული, რაც 454 ტონით ნაკლებია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. მეჩაიეები ვაორკეცებული ენერგიით შრომობენ ომისათვის, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში. აღმოიფხვრან უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა.

ვ. კასრაძე.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიის მონაწილეებს

გულითადად მივესალმები ყველა კონტინენტის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც მოსკოვში — ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიაზე.

საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის ყველა მომხრე, დიდად უწონებენ კეთილმობილურ საქმიანობას ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას, რომელიც განუხრელად და მტკიცედ იცავს ქალთა და ბავშვთა მშვიდობიანი, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ცხოვრების წმიდათაწმიდა უფლებას.

ჩვენს ქვეყანაში ქალთა თანასწორუფლებიანობა უკვე 60 წლის წინათ რეალურად უზრუნველყო დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. იგი საიმედოდ არის გარანტირებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვამაყობთ, რომ ჩვენს ქვეყანაში, პირველად კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, ქალმა შეძლო მთელი თავისი ნიჭის შესაბამისად მონაწილეობა მიეღო ახალი, შედნერი ცხოვრების მშენებლობაში.

საბჭოთა ქალები, ყველა საბჭოთა ადამიანი მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აქტიურ ბრძოლას ომის საფრთხის წინააღმდეგ, ვამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის. შეეძლება მტკიცედ ითქვას, რომ, ეწევა რა ამ ბრძოლას, თქვენი ფედერაცია გამოხატავს ყველა დედის, ცოლის, დის, — ჩვენი პლანეტის ყველა ქალის, ყველა პატიოსანი ადამიანის სანუკვარ მისწრაფებებს.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების ერთობლივ მოქმედებასა და თანამშრომლობას, რომლებიც იბრძვიან განიარაღებისათვის, დაძაბულობის არსებული კერების მოსპობისათვის, სამხედრო ბიუჯეტების შემცირება და განიარაღებაზე გადასვლა, ამ უდიდესი სახსრებისა და რესურსების მშვიდობიანი აღმშენებლობითი მიზნით გამოყენება, რომლებიც გამალებულ შეიარაღებას ხმარდება, რეალურ შესაძლებლობებს დასახავს ბევრი მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, მათ შორის ქალთა და ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მსოფლიოს ქალებს შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ: საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა და კვლავაც იხმარს, რათა არ დაუშვას ახალი მსოფლიო ომი, შეწყდეს გამალებული შეიარაღება, უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება. და ჩვენს საბჭოთა ქალებსაც ღირსეული წვლილი შეიქვთ ამ დიადი ამოცანების გადაწყვეტაში.

წარმატებულ მუშაობას ვსურვებ სესიის მონაწილეებს.

ლ. ბრეჟნევი.

გაორკეცებული შრომით ავანაზღაურებოთ უამინდობით დაკარგული დრო!

საკვები ბაზა — მთავარი ფრონტი

დაირაზმა რაიონის ყველა მშრომელი

ჯ. ბედუკაძე,
საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი.

გაპიანურებულმა გაზაფხულმა ჩვენს რაიონშიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება თითქმის ერთი თვით დაგვიანა. უამინდობამ ზიანი მიაყენა მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის მშრომელებისადმი გულმოდგინედ განეიხილეთ, გულდასმით გავანალიზეთ რაიონის სოფლებში არსებული მდგომარეობა. ჩამორჩენიდან თავის დასაღწევად პარტიის რაიკომმა, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა, რაიონის აქტივთან ერთად საქმიანი ღონისძიება დავსახეთ. ღონისძიების შესასრულებლად რაიონის ყველა მშრომელი დაირაზმა. ცენტრალური კომიტეტის წერილს მშრომელთა ახალი შრომითი ენთუზიაზმი მოჰყვა. ამ ღონისძიებათა ნაყოფია, საქმიან წერილს ჩვენ პრაქტიკული საქმეებით გვპასუხობთ.

აოსანიშნავია, რომ წერილში მოყვანილი ჩამორჩენილობის ფაქტების სალოკვიდაციოდ დაირაზმნენ ავრეთვე კომკავშრომელები, ახალგაზრდები, მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ თავიანთი საპატიო წვლილი შეიტანონ უამინდობით გამოწვეული სიძნელეების დაძლევაში.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა აქტივის კრებაზე სპეციალურად იმსჯელა და გადაწყვიტა გაორკეცებული და გასაძკეცებული მუშაობის გზით სწრაფად გამოასწოროს მინდვრის სამუშაოებში არსებული ნაკლოვანებანი. ყველგან, სადაც რთული უბნებია, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნენ რაიონული კომიტეტის წევრები.

გამოიდარა თუ არა, ყველა მინდვრად, ბაღ-ვენახებში გავიდა. სწრაფი ტემპით დაიწყო სასილოსე სიმინდის თესვა. ეს კულტურა წელს დაითესება 367 ჰექტარზე, რაც გასულ წელთან შედარებით 210 ჰექტარით მეტია. საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 200 ცენტნერს — შარშანდელზე 100 ცენტნერით მეტს. დაითესა აგრეთვე 40 ჰექტარი საკვები ჭარხალი. ერთწლოვანი ბალახი დაითესება 1.007 ჰექტარზე, გასულ წელთან შედარებით 200 ჰექტარით მეტი, მრავალწლოვანი ბალახები დაითესა 252 ჰექტარზე, სულ საკვები კულტურები დავთესეთ 1.736 ჰექტარზე.

არსებული მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახის თართობებზე მივიღებთ 31.618 ცენტნერ თივას, 134.250 ცენტნერის ნაცვლად 202.000 ცენტნერ სენაჟს.

იმისათვის, რომ დროულად ავიღოთ მოსავალი და არ გვქონდეს დანაკარგები, შევიძინეთ სამი სიმინდის ასაღები კომბაინი, 14 სენაჟის აგრეგატი, დამატებით შემოტანილი იქნება 2 სათიბელა, 2 სილოსის ასაღები კომბაინი, გარემონტებულია და მზად არის 183 ავტომანქანა, 14 ამკრეფ-საწნეხი, 82 მისაბმელი, 15 სათიბელა და 41 სილოსის ასაღები კომბაინი.

თითოეულ სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე დაეამზადებთ 24 ცენტნერ საკვებ ერთეულს (გასულ წელს იყო 16 ცენტნერი). საკვების დამზადებაზე იმუშავებს 82 საკვებმომპოვებელთა ბრიგადა — 12-ით მეტი, წინა წელთან შედარებით. ერთი ტონა ხორცის წარმოებას დასჭირდება 18 ტონა საკვები ერთეული — 8 ტონით ნაკლები საკვები ერთეული, ვიდრე შარშან, რძის წარმოებას — 1,5 ტონა საკვები ერთეული — 0,15 ტონით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს.

როგორც აღვნიშნე, რაიონის ახალგაზრდები თავიანთ წვლილს შეიტანენ საკვების დამზადებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, აქმნით საკვებმომპოვებელთა ახალგაზრდულ ბრიგადებსა და რგოლებს. გადაწყვეტილია როგორც საზოგადოებრივი, ისე საკარმიდამო მეცხოველეობა უზრუნველყოფა სრულფასოვანი საკვებით, ძირითად საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა პარალელურად ყველაფერი გავაკეთოთ უამინდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. ასეთია ხაშურელთა პირობა.

> ...ერთ თვეზე მეტი დაგვიანებით შემოდის ბალახი. ეს მეტად მწვავე მდგომარეობას ქმნის საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფაში.
>
> საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიდან.

ქალაქი — სოფელს

ასეთი იქნება ჩვენი ფვლილი

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მრავალთასიანი კოლექტივი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად უდიდესი გულისყურით გაეცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს რესპუბლიკის სოფლის მშრომელების, მუშების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, ყველა კომუნისტისა და კომკავშირელისადმი.

უამინდობამ, ძლიერმა სეტყვამ კახეთში, წყალდიდობამ დასავლეთ საქართველოში დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას, დაგვიანდა საგაზაფხულო სამუშაოების დამთავრება, რაც გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მშრომელთა შეუფერხებელ მომარაგებას.

ასეთ ვითარებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სრულიად მართებულად, გარკვეულ ამოცანებს უსახავს არა მარტო კოლმეურნე გლეხობას, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, არამედ ჩვენ მრეწველობის, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, რათა დავეხმაროთ სოფლის მშრომელებს დაძლიონ წლევანდელი გაზაფხულის რთული პირობებით გამოწვეული შედეგები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივის სამოქმედო პროგრამად იქცა. პარტიის მოწოდების თანახმად ჩვენც შევიტანთ გარკვეულ წვლილს ამ დიდ საქმეში.

„ელმავალმშენებელს“ სოფელთან საშეფო მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. გაერთიანებაში ფუნქციონირებს საშეფო სოფელთან მომუშავე კომისია, რომელიც წლის დასაწყისშივე განსაზღვრავს ხოლმე სოფელში ჩასასვლელად სამუშაოებს. გაერთიანებამ, პირველმა კავშირში, აითვისა მონორელსური ტრანსპორტიორი, რომელიც ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილთან დაკავშირებით შედგა ჩვენი პარტიული კომიტეტისა და საშეფო სოფელთან მომუშავე კომისიის ერთობლივი სხდომა, რომელმაც გადახედა თავის სამოქმედო პროგრამას და გადაწყვიტა. ტუშურებელ მეცხოველეობათვის დავეჩქართო მეღორეობის ფერმისათვის გათბობის მოწყობილობის. ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკვების მექანიზირებულად მიმწოდებელი ნაკადურო ხაზის დამონტაჟება, მეცხოველეობის ფერმაში თეთრხეველ უბანზე წყალსაყრის დაყენება და სხვა.

გაერთიანების კოლექტივი, საშეფო სოფელთან მომუშავე კომისია. მზად არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების განსახორციელებლად. ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ და დავეხმარებით სოფლის მეურნეობის მუშაკებს მეათე ხუთწლედში მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში.

დ. ღლანიძე,
საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ პარტიული კომიტეტის მდივანი.

სსრ კავშირი-მექსიკა: თანამშრომლობის გზით

„სიდენა ტ-25“ — ასე ეწოდა პირველ მექსიკურ ტრაქტორს. იგი აწყვეს მექსიკელი და საბჭოური დეტალებისაგან და დაამზადეს საბჭოთა ლიცენზიით აშენებულ კონვეიერზე. ახალმა მანქანამ დასაბამი მისცა მექსიკის ქალაქ საგაუნში სახელმწიფო სამრეწველო კომპლექსის განვითარებას.

ეს საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია, უთხრეს საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში. უკანასკნელ წლებში იგი ავრცელდა მეკონომიკის ბევრ დარგში.

წარმატებით ვითარდება საქონელგაცვლა ორ ქვეყანას შორის. მექსიკა, რომელიც ეროვნული ინდუსტრიალიზაციის გზას დაადგა, იღებს საბჭოთა მანქანებს, ჩარხებს, სატრანსპორტო საშუალებებს, ხელსაწყოებს, ლაბორატორიის აღჭურვილობას, საბჭოთა კავშირი ყიდულობს პროდუქციას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არ მზადდება. წამყვანი ადგილი უკავია მექსიკური ექსპორტის ტრადიციულ საქონელს — სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.

საბჭოთა კავშირ-მექსიკის საქმიანი კონტაქტების წარმატებით განვითარებას ბევრად უწყობს ხელს შეთანხმება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და მექსიკის თანამშრომლობაზე.

ოფიციალურ ვიზიტად

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის გენერალ-პოლკოვნიკ ლ. ცინეგეს მიწვევით 15 მაისს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ გიზიტად გაემგზავრა საბჭოთა სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი. (ხაკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ქ. ქუთაისში ლენინისა და ავტოსაქარხნო რაიონების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას ქ. ქუთაისში ლენინისა და ავტოსაქარხნო რაიონები.

2. დადგინდეს ლენინისა და ავტოსაქარხნო რაიონების ტერიტორია ქუთაისის სახალხო დეპუტატთა ხაქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საზღვრებიდ ფარგლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 15 მაისი.



საკდესის კორესპონდენტები გვატყობინებენ

□ მოსკოვი. დღეს გაიხსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ხაბჭოს სესია, რომლის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია ბრძოლა ქალთა და ბავშვთა მშვიდობიანი, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ცხოვრების უფლებისათვის. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მშვიდობისა და განიარაღებისათვის. სესიაზე განიხილავენ ბარბადოს, ბავშვთა საერთაშორისო წლის მოსამზადებელ ღონისძიებებს. ეგი 1979 წელს მოეწყობა.

□ ვრაცლავი (დონეცკის ოლქი). ნოვოკრასნაროსკის ლენინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანაში დაიწყო 1100 ვრადუს ტემპერატურამდე გახურებული ფოლადის ნამზადების ავადსასტანი ორი ზოდსაჭარის დამზადება. ეს მძლავრი და სრულყოფილი კონსტრუქციის ზოდსაჭარები შეიკვლის ავრეკბებს, რომლებიც ამჟამად მოქმედებს „ზაპოროჟეფოლადის“ ქარხნის „1100“ სლაბინგზე.

□ ბაკო. დამტკიცდა აზერბაიჯანში მეხილეობის განვითარების გენერალური სქემა. ხუთწლედის ბოლოსათვის ინტენსიური ტიპის ბაღების ფართობი რესპუბლიკაში მიაღწევს 15 ათას ჰექტარს. ხილის დამზადება კი ერთიორად გაიზრდება.

□ ტიუმენი. მოთავრტიუმენსკეთოგბაზის ოლოექტიმმა წლის დამდეგიდან ვაბარეა ნახევარი მილიონი მეტრი ფიდდენბრიანი ნავთობის ჭაბურღილი. ეადაზი ორი კვირით ადრე ასეთი მაღალი შედეგის მიღწევა შესაძლებელი ეიდა ზეურეთთა მოწინავე ბრიგადების გამოცდილების ფართოდ გავრცელების. უახლესი ტექნიკის დანერგვის აზით. ვეირაბეგამეანთა მუშაობის სწორი ტემპი მრეწველის ეხმარებათ „ეავი ოქრის“ მოპოვებაში.

პარტიული ქრონიკა

სამი თაობის შეხვედრა

ახალციხე. (საკ. კორ.). კომკავშირის ახალციხის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ და რაიონულმა კულტურის სახლმა საკავშირო ახალგაზრდული ლენინური კომკავშირის დაბადების 30-ე წლისთავისათვის მზადების მიუძღვნეს შეხვედრა დეკანოზი „მხარი ეუსწოროთ კომუნისტებს!“, რომელიც გაიმართა მესხეთის სახელმწიფო თეატრში.

ალისფერყელსახვევიანმა, პიონერებმა და მათმა უმცროსმა მეგობრებმა — ოქტომბრელებმა ყვავილები და სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს პარტიის, კომკავშირის, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებს. ნორჩმა დეკლამატორებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი.

საინტერესო იყო ძველი ბოლშევიკის, აგარის საბჭოთა მეურნეობის მუშის, 1921 წლიდან სკკპ წევრის კ. ხმალაძის საუბარი უფროსი თაობის მიერ განვლილ საბრძოლო გზაზე. დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს აგრეთვე პარტიისა და კომკავშირის, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებმა ვ. ლომსაძემ, შ. წოქვაძემ, ნ. მელიქიძემ, ს. ვოსკანიანმა, თ. ჩალაშვილმა, ვ. ჯაყელმა, ვ. აღაჯანიანმა, ა. კარაკაშიანმა, ნ. ხვინჭიმ და სხვებმა.

მრავალფეროვანი და საინტერესო იყო მხატვრული ნაწილი.

შ. მაისურაძე.

ვეტერანთა თანდასწრებით

ცხაკაია. (საკ. კორ.). გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერების მ. ცხაკაიას მემორიალურ მუზეუმში (დირექტორი ლ. თათარიშვილი) ძველ კომუნისტების შ. ქარიბაიას, ი. ტყეშბრიკაის, შ. ალანიას, ვ. კვარაცხელიას, მ. კუკავას თანდასწრებით პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ პარტიაში ახალმიღებულთა ჯგუფს — 19 ახალგაზრდას სახეიმო ვითარებაში გადასცა პარტიული ბილეთები. ახალმიღებულთა მიესალმა ძველი კომუნისტი შ. ქარიბაია. ქალაქის მეხუთე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა, კომკავშირელმა მ. მიქაძემ წაიკითხა ცნობილი ქართველი პოეტის შ. ნიშნიანიძის ლექსი „კომუნისტი“. ახალგაზრდა კომუნისტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა მ. წითლიძემ.

ბ. მილიუტინი.

სწავლობენ მდივნები

წყალტუბო. პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტში გაიმართა ქალაქის ზონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარული მეცადინეობა. სემინარზე სკკპ ოგიენმა მიღების, პარტიის წევრობის ანდიდატებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ქალაქკომის შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარემ რ. ჯიქია. საამქრო პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება დამსწრეთ გაუზიარეს „საქგუმბრინის“ მაღაროთა და „ვარციხპერეულის“ სამმართველოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა რ. ცხაკაიამ და გ. ბიბლაიამ. პარტიის საქალაქო კომიტეტის ერთიანი პარტბილეთისა და პარტსტატისტიკის სექტორის გამგე ალ. დვეიძე დამსწრეთ ესაუბრა პარტიის საწევრო შესატანების მიღებისა და ანგარიშგების წესებზე.

სემინარის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის ი. კუპუნიძის ლექცია თემაზე „ადამიანთა ქცევასა და შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთებისა და კომუნისტური მორალის ანტიპოდების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის შესახებ“.

ლ. კინწურაშვილი.

ხალხთა მეგობრობის რელიკვიები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ბევრ სხვა ექსპონატს შორისაა ტიციან ტაბიძის ლექსების კრებული, რომელიც სობხეთში გამოიცა ეღიმე ჩარენცის ხელშეწყობით და მასვე ქართველი პოეტისათვის გამოუგზავნია ბულთაფი წარწერით. მოძმე რესპუბლიკების პოეტების მეგობრობას მიეძღვნა თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეორე სესიაზე გაკეთებული ერთ-ერთი მოხსენება. ეს სესია, რომლის მუშაობა სამ დღეს გრძელდებოდა, 12 მაისს დამთავრდა.

ბევრი ფასდაუდებელი რელიკვიის, ხალხთა საბრძოლო და შრომითი ძმობის შესახებ ილაპარაკეს სესიის მონაწილეებმა, რომელთა შორის იყვნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, ბაქოელი, ერევნელი, ფრუნზელი, ვილნიუსელი, ტარტუელი, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები. შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ყირგიზული და პოლონური თარგმანები, ლევ ტოლსტოის თბილისელი კორესპონდენტები „ჰაჯი მურატზე“ მისი მუშაობის პერიოდში, ა. ნ. ოსტროვსკის კაკაბსიური დღიური, ა. ს. პუშკინის მეგობარი დ. ა. ერისთავი, საქართველო-ლიტვის ლიტერატურული და რუსეთ-საქართველოს თეატრალური ურთიერთობა, საქართველოსა და სომხეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ლიმოძრაობების თანამეგობრობა, საბჭოთა კავშირის ერთიან ეკონომიკურ კომპლექსში საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილი — ასეთია სესიაზე 25 მოხსენებისა და გამოსვლის მხოლოდ ზოგიერთი თემა.

— თავის მეორე სამეცნიერო სესიას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მუზეუმის დირექტორმა თ. ბაღდურაშვილმა, ჩვენი მუზეუმის კოლექტივი შეეგება იმ დროს, როცა გაცხოველებით მუშაობს, რათა გაამდიდროს თავისი კოლექციები. აამაღლოს მათი როლი იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეების პროპაგანდისათვის. თერთო აღიარება პოვა დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენს ქალაქების საბრძოლო თანამეგობრობის ამსახველმა გამოფენამ, რომელიც დღეისადაგ ივსება.

ექსპოზიციის გაფართოებას ხელს შეუწყობს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თბილისის ცენტრში აიგოს მუზეუმის ახალი შენობა, რაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

სესიამ ცხადყო, რომ ქვეყნის მეცნიერული საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის საქმიანობისადმი. შეკრებილთა ყურადღების ცენტრში იყო ლ. ი. ბრეჟნევის თვალსაჩინო ნაწარმოებები „მცირე მიწა“ და „აღორძინება“ — საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი გმირობის მატიანე, საბჭოთა ადამიანების პატრიოტული აღზრდის მძლავრი სტიმული.

სესიის მონაწილენი მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. მ. სირაძემ. (საქინფორმი).

საკავშირო თათბირ-სემინარი ბათუმში

ბათუმი. (საქინფორმი). აჭარის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა დირექტორების საკავშირო-ზონალურმა თათბირ-სემინარმა თემაზე: „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლა-განათლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის შესახებ“.

საკავშირო-ზონალური თათბირ-სემინარის მონაწილენი გაეცნენ, თუ როგორ არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და საწარმოო პროცესი ქალაქ ბათუმის № 76 ტექნიკურ სასწავლებელში, № 1 და 44 საშუალო საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

ეკონომიკურ პრობლემებზე

მომზიდველი სოციალიზმის ეკონომიკური სტრუქტურა მრავალი არსებითი ნიშან-თვისებით გამოიჩეოა, იმ რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებათა შორის, რომლებმაც განაპირობეს სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისა და პერსპექტიული ამოცანებისადმი შესატყვისი ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის მიღება, ისიც არის, რომ სსრ კავშირში, როგორც ეს ხაზგასმულია კონსტიტუციაში, შეიქმნა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია მასში შემავალი ელემენტების გამართულ მუშაობასა და რაციონალურ კავშირურთიერთობაზე. სწორედ სამეურნეობათაშორისო, სადარგთაშორისო, შიდადარგობრივი და სხვა ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ განაპირობა ის, რომ ახლა, ისე როგორც არასდროს, ჩვენ ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმის ერთი შემადგენელი ნაწილის საქმიანობის შედეგები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული მასთან შეთანაწყობილი პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირში მყოფი სხვა ნაწილების მუშაობის მაჩვენებლებზე. მაშასადამე, ამჟამად სახალხო მეურნეობის როგორც ამა თუ იმ რგოლის, ისე მთელი რეგიონის მუშაობის შედეგები ვერ შეფასდება დადებითად ან უარყოფითად, თუ კარგად არ ვიცით რამდენად შეესაბამება ეს შედეგები სახალხო მეურნეობის პარამეტრებს, რამდენად აკმაყოფილებს იგი მომხმარებლის (საწარმო იქნება იგი თუ ადამიანი) მოთხოვნებს და რამდენად უწყობს ხელს ეს შედეგი მეორე, მასზე დამოკიდებული, მაგრამ არანაკლები მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევას.

როგორც პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, „ასეთი მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ეკონომიკის წარდნა და გართულების კვალობაზე, როცა ეს საბოლოო შედეგები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული მრავალ შუალედურ რგოლზე, შიდადარგობრივი და სადარგთაშორისო კავშირის რთულ სისტემაზე. ასეთ პირობებში, თუ გამოვედგენენ შუალედურ შედეგებს, რომლებიც თავისთავად ვერ წყვეტენ საქმეს, შეიძლება აღვილად გამოვიჩრეს მთავარი — საბოლოო შედეგები და, პირიქით, თუ სათანადო ყურადღება არ დავუთმეთ რომელიღაც შუალედურ რგოლს, შეიძლება გავაკარეოსოთ დიდი ბარჯნა და დაბნდვნის საბოლოო, შეჯამებული ეფექტი...“

სახალხო-სამეურნეო შედეგთა დიალექტიკური ერთიანობა, ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მუშაობის შედეგების ურთიერთგანპირობებულობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარმა ღრმა რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებათა გამოხატულებაა. ამ ეტაპამდე სახალხო მეურნეობის თითოეული, რგოლის საქმიანობის მაჩვენებლები, უწინარეს ყოვლისა, განიხილება ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის პოზიციებიდან.

ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოს სს რესპუბლიკაში მრავალი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ხორციელდება: მაღლდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ურთიერთშეთანაწყობის, ურთიერთდაბალანსების ხარისხი, ინერგება მართვისა და დაგეგმვის ახალი ფორმები და მეთოდები, სულ უფრო ძლიერდება ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ დარგთა, გაერთიანებათა და საწარმოთა ინტეგრაციის პროცესი. ყოველივე ეს განაპირობებს მთელი ეკონომიკის დინამიკურ, პროპორციულ, შეწონასწორებულ განვითარებას. ამის ნათელი გამოხატულება ის დიდი მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მეათე ხუთწლედის მეორე, საიუბილეო წელს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა სფეროში. ამაზე მეტყველებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს სახელოვნი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ახალი, დამაჯერებელი გამარჯვება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით რესპუბლიკის ზედიზედ მეხუთედ დაჯილდოება.

სოციალისტური ეკონომიკა განუხრელად მზარდი, დინამიკურად განვითარებადი სამეურნეო ორგანიზმია, რომელიც განუწყვეტლივ მოითხოვს მისი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის ურთიერთშეთანაწყობის ხარისხის სისტემატურ გაუმჯობესებას. ეკონომიკური კავშირურთიერთობის ახალ-ახალი, ეფექტიანი ფორმების გამოვლენასა და დანერგვას. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი, აქტუალური-ია ეკონომიკის დარგებს შორის სულ უფრო მზარდი საწარმოო თანამშრომლობის მუდმივი სრულყოფა, რაოდენ დიდ ზარალს აყენებს როგორც სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგს, ისე მთლიანად საზოგადოებას ამ მრავალმხრივი ურთიერთობის თუნდაც ერთი რგოლში წარმოქმნილი შეფერხება, კარგად ჩანს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროს ორი დიდმნიშვნელოვანი დარგის — მრეწველობისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობაში არსებული ზოგიერთი სიძნელის ანალიზიდან.

თუმცა, ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა „რესპუბლიკაში გამოშვებული ნაწარმის ხარისხი. ზოგიერთი დარგი, გაერთიანება თუ საწარმო კვლავ ამზადებს ისეთ პროდუქციას, რომელიც არც სამომხმარებლო და არც ესთეტიკური ნიშან-თვისებებით არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. ასეთი ნაწარმის გადასაკეთებლად, როგორც წესი, დამატებითი შრომითი, ფულადი და მატერიალური რესურსები იხარჯება. არცთუ იშვიათად, არსებითად სახმარ ღირებულებას მოკლებული ნაკეთობა სავაჭრო ქსელშიც შეაღწევს ხოლმე, საიდანაც ან მის დამამზადებელს უბრუნდება უკანვე წუნის გამოსასწორებლად, ან წინასწარ განწირულია მაღაზიების დახლებზე და საწყობებში გასაყინად.

შარშან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარმა სამართველომ შერჩევითი წესით ჩვენი რესპუბლიკის 979 სამრეწველო საწარმოში შეამოწმა პროდუქციის ხარისხის მდგომარეობა. **698 საწარმოში, ანუ შემოწმებულ საწარმოთა 71,3 პროცენტში, აღმოჩნდა სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით ნაწარმის გამოშვების ფაქტები.** თითქმის ყოველი მეორე შემოწმებისას სარეალიზაციოდ გამზადებული ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი ხარისხიდან ხარისხში იქნა გადაყვანილი ან უკანვე დაუბრუნდა საწარმოებს ხარვეზების გამოსასწორებლად. ასეთი იყო შემოწმებული საფეიქრო-საგალანტერეო და ქალამბრიგი ნაწარმის 25,2 პროცენტი, სამკერვალო ნაწარმის — 21,9, ბეწვეული — 26,2, წინდა-თათმანის — 46,6, ტყავ-საგალანტერეო ნაწარმის — 25,7, ავეჯის — 18,8, სორტატიკა ბროლისა და კერამიკის ჭურჭლის — 37,3, ლაქსალებავების — 36,7 პროცენტი და ა. შ. სულ — რესპუბლიკის მრეწველობაში დამზადებული ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის ერთ მეხუთედზე მეტი.

ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების დახლებზე გამოფენილი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ნაკლებ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, ამა თუ იმ სახეობის საქონლის დეფიციტის პირობებშიც კი არ იძენს მას მომხმარებელი. მნიშვნელოვანწილად ამით არის გამოწვეული სასაქონლო მარაგის საერთო მოცულობაში ზენორმატიული საქონლის ხვედრითი წონის ზრდა. ცხადია, ამ მარაგის საგრძნობი ნაწილი დაბალი ხარისხის, მოდიდან გამოსული, არადამაკმაყოფილებელი სასაქონლო თვისებების მქონე პროდუქციაა, ამიტომ ძნელად სარეალიზაციოც. ეს ისეთი საქონელია, რომელსაც მეტწილად ჩამოფასებაც ვერ შეელის, ვერ სიღდეგა!

ასეთი ვითარება მით უფრო შეუწყნარებელია, რომ წუნდებული ნაწარმის გამოშვება ხშირად გამოწვეულია არა რამე ობიექტური მიზეზებით, არამედ ცალკეულ მუშათა უპასუხისმგებლობით, მიზეზად იდეურ-თეორიული დონე, მებრძოლურობა და ქმედითობა. ლექციების თემატიკა, აღინიშნა პლენუმზე, ხშირად არ არის სათანადოდ მოფიქრებული, საკმაოდ გამიზნული, ყოველთვის არ ითვალისწინებენ საბჭოთა ადამიანების განათლების, ცოდნისა და კულტურის გაზრდილ დონეს, მათს მოთხოვნილებას განუწყვეტლივ შეივსონ და განიახლონ ცოდნა, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ იმას, რომ საჭიროა კლასობრივი პოზიციებიდან გაამუქონ საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების პრობლემები.

განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მუშაკთა ჯგუფს პლენუმზე გადასცეს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ჯილდოები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ერთ-ერთ დამაარსებელსა და მისი გამგეობის უცვლელ წევრს ნ. ყაცხოველს, რომელიც სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მე-2 პლენუმის დადგენილებით (1978 წლის 7 თებერვალი) საზოგადოების მუშაობაში დიდი წვლილისათვის, მშრომელთა შორის ცოდნის გავრცელებისა და მეცნიერების პოპულარიზაციისათვის შეტანილია სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ სპატიო წიგნში, გადაეცა შესაბამისი დიპლომი, მას გადაეცა აგრეთვე საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ სამახსოვრო სანუქარი. აკადემიკოს თ. დავითაიას პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში დამსახურებისათვის გადაეცა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ პირველი თავმჯდომარის, აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის სახელობის მედალი. სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ სამკერდე ნიშნები „აქტიური მუშაობისათვის“ გადაეცათ საზოგადოების აქტიურ წევრთა ჯგუფს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ბედინეიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე.

(საქინფორმი).

ოფიციალური განყოფილება

თვალის დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მოსახლეობისათვის ოფთალმოლოგიური დახმარების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნულ დადგენილებაში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ დავალება შექმნან რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებსა და მსხვილ ქალაქებში ოფთალმოლოგიური სპეციალიზებული პოლიკლინიკები (განყოფილებები) და საფეხურიანი განყოფილებანი სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, აგრეთვე კიდევ უფრო განავითარონ საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში გადაუდებელი ოფთალმოლოგიური დახმარების განყოფილებების, კაბინეტებისა და პუნქტების ქსელი. დასახულია გაფართოვდეს თვალის მიკროქირურგიის განყოფილებების (ცენტრების) ქსელი საავადმყოფოებში. გათვალისწინებულია მოეწყოს მოსახლეობის მასობრივი პროფილაქტიკური შემოწმება თვალის დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით.

დამატებითი ღონისძიებანი ლოთობის წინააღმდეგ

სსრ კავშირის მთავრობამ განიხილა სახალხო ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

მიღებული დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ განახორციელონ თვალის ტრავმატიზმის პროფილაქტიკის დამატებითი ღონისძიებანი სამრეწველო საწარმოების, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა შორის, აგრეთვე სკოლამდელთა და მოსწავლეთა სიბეცის აღკვეთის ღონისძიებანი.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის სათვალით უზრუნველყოფა, სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს მიეცა დავალება გაზარდოს სათვალის ლინზებისა და ჩარჩოების წარმოება. დასახულია შესაბამისი საწარმოების მშენებლობისა და გაფართოების პროგრამა. მთელი რიგი სამრეწველო სამინისტროთა გეგრაფიით გაიფართოებენ ოფთალმოგიური ხელსაწყოების, აგრეთვე იმ მასალებისა და მოწყობილობის გამოშვებას, რომლებიც საჭიროა სათვალის ლინზებისა და ჩარჩოების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მატერიალური პასუხისმგებლობა ზღვის გაჭუჭყიანებისათვის

სსრ კავშირის კანონმდებლობაში და, კერძოდ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 26 თებერვლის ბრძანებულებაში, გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის მკაცრი ღონისძიებანი ადამიანთა ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ზღვის გაჭუჭყიანებისათვის. კანონის ამ დარღვევებში დამნაშავე პირები შეიძლება მიეცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს სასჯელის ისეთი ზომები, როგორიც არის თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები ან ჯარიმა.

მოქმედი კანონმდებლობის დამატებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ზღვის გაჭუჭყიანების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ.

ამ დადგენილების შესაბამისად წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს მიეცათ უფლება სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სსრ კავშირის მოქალაქეებს, აგრეთვე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს წარუდგინონ ხარჯული სახელმწიფოს სასარგებლოდ სსრ კავშირის შიდა საზღვაო და ტერიტორიული წყლების გაჭუჭყიანების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის სახსრების გადახდის შესახებ. უნდა ანაზღაურდეს ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმის შედეგად, რომ ამ წყლებში ვემებიდან და სხვა მცურავი საშუალებებიდან უკანონოდ ჩაუშვეს ადამიანთა ჯანმრთელობისა თუ ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებანი ანდა დადგენილი ნორმების გადაჭარბებით ასეთი ნივთიერებათა შემცველი შენარევები, ან არ განახორციელეს საკმირო ღონისძიებანი ამ ნივთიერებათა დაკარგვის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული ზარალის გამოანგარიშების მეთოდიკას განსაზღვრავს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის დაცვის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით. (საკენსი).

ბალტიკისპირეთის ოლიმპიადა

ბალტიკისპირეთის ოლიმპიადა ... ეროვნული ... ...

სამყაროს განახლების სამსახურში

90 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცალკე წიგნად გამოიცა ფ. ენგელსის სახელგანთქმული ნაშრომი — „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული". ვ. ი. ლენინი მას „ყოველი შეგნებული მუშის ნიადაგსახმარ წიგნს უწოდებდა".

შემოქმედებითი მარქსიზმის გენიალურ ნაშრომში საოცარი სიზუსტითა და სიღრმითაა გარკვეული ახალი მსოფლმხედველობის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობის თეორიული წინაშემდგრება, მისი თვისებრივი განსხვავება წინამორბედ ფილოსოფიურ მოძღვრებათაგან, მარქსისტული ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპები.

ფ. ენგელსის წიგნი წინასიტყვაობისა და ოთხი თავისაგან შედგება. წინასიტყვაობაში ავტორი აყალიბებს თავის მიზანს — მოკლედ და სისტემატური ფორმით გადმოსცეს მარქსისა და მის მიერ შემუშავებული ფილოსოფიის დამოკიდებულება ჰეგელისა და ფოიერბახის მოძღვრებისადმი.

მარქსისტული ფილოსოფია, „რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში წარმოშვა, არ იყო არც წინანდელი ფილოსოფიის უბრალო განგრძობა, არც მისი მექანიკური უარყოფა. იგი ნიშნავდა თვისებრივად ახალ საფეხურს საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში, რაც ამასთანავე გულისხმობდა ძველი ფილოსოფიის უარყოფას მისი დადებითი შინაარსის შემონახვით.

წიგნის პირველ თავში ფ. ენგელსი ახასიათებს კლასიკური გერმანული ფილოსოფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის — ჰეგელის ფილოსოფიას, მის რევოლუციურ და კონსერვატიულ მხარეებს, მიუთითებს წინააღმდეგობაზე ჰეგელის იდეალისტურ სისტემასა და დიალექტიკურ მეთოდს შორის.

ჰეგელის დიდი დამსახურებაა საყოველთაო განვითარების იდეის შემუშავება. მან ბუნება, საზოგადოება და აზროვნება პირველად წარმოსახა როგორც პროცესი, მუდმივ მოძრაობა-ცვალებადობასა და განვითარებაში მყოფი, სცადა მოძრაობისა და განვითარების შინაგანი კავშირების გამომაჟღენება. მაგრამ განვითარების ჰეგელისეული იდეა გაყალბებული აღმოჩნდა ობიექტურ-იდეალისტურ ნიადაგზე, ვინაიდან „ჰეგელისათვის დიალექტიკა ცნების თვითგანვითარებაა. აბსოლუტური ცნება... მთელი არსებული სამყაროს ნამდვილ, ცხოველმყოფელ სულს წარმოადგენს". (ფ. ენგელსი).

ფ. ენგელსი დაასკვნის, რომ ჰეგელის ფილოსოფია შეიცავდა როგორც რევოლუციურ, ისე კონსერვატიულ მხარეს, ორმაგ ბუნებას, რამაც განაპირობა ორგვარი დამოკიდებულება მისდამი. ჰეგელის მიმდეგთა ერთი ჯგუფი, ე. წ. „მემარცხენე ჰეგელიანები" (ბ. ბაუერი, ი. რუგე, ე. ბაუერი, ლ. ფოიერბახი, მოგვიანებით ახალგაზრდა კ. მარქსი და ფ. ენგელსი) ჰეგელის ფილოსოფიის პროგრესულ მხარეს იზიარებდნენ და მისგან რადიკალური, ათეისტური დასკვნები გამოპყავდათ. „მემარჯვენე ჰეგელიანები" კი იცავდნენ ჰეგელის ფილოსოფიის კონსერვატიულ მხარეს და აქედან რეაქციულ დასკვნებამდე მიდიოდნენ.

ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის სისტემის წინაღმდეგ გაილაშქრა ლ. ფოიერბახმა წიგნში „ქრისტიანობის არსება" (1841 წ.). ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფოიერბახმა „მატერიალიზმი სრულიად მოურიდებლად ხელახლა ტახტზე აიყვანა", დაასაბუთა, რომ ბუნება პირველადია, ხოლო აღმიანი — მისი პროდუქტი, რომ ჰეგელისეული „აბსოლუტური იდეის" დაუსაბამო არსებობა მხოლოდ ფანტასტიკური ნაშთია სამყაროს მიღმა მყოფი შემოქმედის რწმენისა, რასაც თეოლოგია ქადაგებს. ამითაც ადამიანი ობიექტურად დიდი როლი შეასრულა ჰეგელის ფილოსოფიის გავლენისაგან ახალგაზრდა მარქსისა და ენგელსის განთავისუფლებას საქმეში. ფ. ენგელსი იგონებდა: „ჩვენ ყველანი მაშინვე ფოიერბახელები გავხდითო".

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფოიერბახმა ვერ შეძლო ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკული ათვისება. ვერ შეამჩნია „რაციონალური მარცვალი" (კ. მარქსი) ჰეგელის ფილოსოფიაში.

ერთადერთი მიმართულება, რომელმაც ნაყოფი მოიტანა ჰეგელის სკოლის დაშლის შემდეგ, სწორედ მარქსისა და ენგელსის სახელებთან არის დაკავშირებული. ჰეგელის სკოლის სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, მარქსმა და ენგელსმა კრიტიკულად დაძლიეს ჰეგელის ფილოსოფია, უარყვეს მისი სისტემა, ხელი ჩასჭიდეს ამ ფილოსოფიის რევოლუციურ მხარეს — დიალექტიკურ მეთოდს, „მატერიალისტურ მსოფლმხედველობას პირველად მოეპყრნენ ნამდვილად სერიოზულად და იგი, ყოველ შემთხვევაში ძირითად ხაზებში, დანამიმდევრულად გაატარეს ცოდნის ყველა დარგში". (ენგელსი).

მარქსი და ენგელსი არ შეჩერდნენ არც ფოიერბახის მატერიალიზმზე. მათ კრიტიკულად დაძლიეს აგრეთვე ფოიერბახის მატერიალიზმი, რომელიც მეტაფიზიკური, მექანისტური, არათანამიმდევრული იყო, მოახდინეს რევოლუციური გადატრიალება ფილოსოფიაში იმით, რომ შექმნეს მატერიალიზმის უმაღლესი ფორმა — დიალექტიკური მატერიალიზმი, — მოძღვრება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ. მარქსმა და ენგელსმა სამყაროს დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება საზოგადოების შეცნობაზე გადაიტანეს, შემუშავეს ისტორიული მატერიალიზმი — მეცნიერული აზროვნების უდიდესი მონაპოვარი.

ფ. ენგელსის წიგნის მეორე თავში მოცემულია ფილოსოფიის ძირითადი საკითხის კლასიკური ფორმულირება: ყოველი ფილოსოფიის ძირითადი საკითხია ურთიერთობა ყოფიერებასა და ცნობიერებას, აზროვნებას შორის. ამ საკითხის ცენტრალური ადგილი უკავია ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში იმის გამო, რომ სწორედ მისი გადაწყვეტის საფუძველზეა შესაძლებელი სხვა მსოფლმხედველობრივი პრობლემების გარკვევა, სწორედ ამ გზით გამოიკვეთება ესა თუ ის მიმდინარეობა და მიმართულება ფილოსოფიაში.

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ფილოსოფიის ძირითად საკითხს ორი მხარე აქვს: პირველი მხარე იმის გარკვევაში მდგომარეობს, თუ რა არის პირველადი, ყოფიერება თუ ცნობიერება, ბუნება თუ სული. ფილოსოფოსები ორ ბანაკად იყოფოდნენ იმისდამიხედვით, თუ როგორ უპასუხებდნენ ამ კითხვაზე. ვინც ყოფიერების პირველადობას და ცნობიერების მეორადობას აღიარებდა — მატერიალიზმის ბანაკს მიეკუთვნებოდა, ხოლო ვინც ცნობდა ცნობიერების, სულიერის პირველადობას და ყოფიერების, ბუნების მეორადობას — მათ იდეალიზმის ბანაკი შეადგენეს.

ფილოსოფიის ძირითად საკითხს აქვს მეორე მხარეც, ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია ცნობიერება ყოფიერებასთან, შეუძლია თუ არა ადამიანის აზროვნებას ბორეალის ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, ანუ ეს ბუნებრივ-ისტორიული პროცესი ადამიანის ცნობიერებისგან დამოუკიდებელია

ᲨᲔᲪᲕᲔᲚᲠᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲖᲦᲐᲚᲕᲝ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲒᲐᲠᲔᲯᲕᲖᲔ

... ᲘᲛ ᲒᲖᲐᲖᲔ, ოდესღაც საგზალმოკიდებული ფეხშიშველი ბერები რომ მიაღლამუნებდნენ, ახლა ათასობით მანქანა მიჰქრიდა. გზა კი არ ილეოდა, არ იქნა და არ გამორნდა ის შთა, ის ციხე, ის უდაბნო ქვეყანა...

ეს მესამე გარეჯობაა, რომელიც პარტიის საგარეჯოს რაიკომის ინიციატივით დაწესდა. მანამდე? აბა ვინ იცის, ვინ მოსთვლის!.. ის „გარეჯობა“ კი, შახაბასმა რომ გამართა, სულ სხვა იყო. წყეულმიც იყოს ის დღე, ექვსასი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა.

მტერმა იცოდა, რასაც სჩადიოდა. ის იმ ღუსებს ძირკვავდა, რომლითაც ერი სულდგმულობდა. დავით გარეჯი მარტო უფლის სამლოცველო მონასტერი როდი იყო. ეს გახლდათ ერის კულტურის, განათლების, მხატვრობის, ხელოვნების დიდი სკოლა, დიდი ტაძარი.

მადლიერმა საბჭოთა ადამიანებმა სწორედ ეს ტაძარი აღადგინეს, მადლი ამკურეს და გამოაცოცხლეს. აქ ახლა დავით გარეჯის მონასტერი კი არა, გარეჯის სახელო უნივერსიტეტია. ეს დღესასწაულიც სწორედ ჩვენი ხალხის დღესასწაულია, მიწის ყოველია, ქვათა ღაღადია. სიგარეჯოელებთან ერთად აქ მოვიდა ხალხი თბილისიდან, რუსთავიდან, გორიდან, თელავიდან, სიღნაღიდან... თქვენ წარმოიდგინეთ, მოსკოვიდან და უკრაინიდანაც კი ჩამოვიდნენ სპატიო სტუმრები.

გარეჯობის სადღესასწაულო ცერემონიალს წინ უძღოდა სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა. ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა, სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვასილ გულისაშვილმა თქვა: „გარეჯობა შეიყვარეს მშრომელებმა. შეიყვარეს იმისათვის, რომ აქ ერთმანეთს ერწყმის წარსულის საუკეთესო ტრადიციები და დღევანდელობა. აქ ისინი ეცნობიან წინაპართა ხელოვნების, კულტურის შესანიშნავ ძეგლებს, სწავლობენ ერის გმირულ ისტორიას.

დღეს უდაბნოს ველ-მინდვრებზე ახლებურად ეღერს შრომის ჰანგი. ცოცხლდება ოდესღაც გაუკაცრიელებული ველი, შენდება ახალი სოფელი. მალე იგი მიიღებს მაცოცხლებელ წყალს, წალკოტად იქცევა ეს მხარე, თავისი მიწის ბარაქას გაუზიარებს თბილისსა და რუსთავს, განახლებული და აღდგენილი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი კი თავისი ნაკრძალ-მუზეუმით მშრომელთა დასვენებისა და გართობის კერად იქცევა“.

გარეჯის და თბილისის საფეიერო კომბინატ „ამირანის“ ყოფაცხოვრებისა და ტრადიციების სახალხო უნივერსიტეტების გაერთიანებულ მეცადინეობაზე ლექციები წარმოადგინეს საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა თამაზ სანაძემ, ამავე მუზეუმის მეცნიერმა მუშაკმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა გურამ აბრამიშვილმა.

შთამბეჭდავი და ამაღელვებელი იყო რუსთველის თეატრის მსახიობის ზაზა ბაწელაშვილის მონოლოგი გარეჯელთა წინაპრებზე.

ერის წარსულზე, საბჭოთა საქართველოზე ახალი ლექსები წაიკითხეს მედეა კახიძემ, იოსებ ნონაშვილმა, ლადო მრელაშვილმა.

...და აი, მოულოდნელობა! სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზეა უკრაინულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავე ანსამბლი ჭ. ედანოვიდან. ეს ქალაქი, თურმე, საგარეჯოს რაიონს შეფობს და ახლაც უყურადღებოდ არ დატოვეს მეგობრები.

ზეიმი, ლხინი, გართობა, დიდხანს გრძელდებოდა, რომელშიც ათეულ ათასობით კაცმა მიიღო მონაწილეობა.

წლეულანდელი გარეჯობა იმ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა ერთ-ერთი ნათელი დადასტურება იყო, რაც ხორცელდება საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის მიერ ისტორიული ძეგლების ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის, ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის პატრიოტიზმის, სამშობლოს, მისი სახელოვანი წარსულისადმი სიყვარულის სულისკვეთებით.

ᲕᲚ. ᲛᲔᲮᲔᲓᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოდან — დავით გარეჯის მონასტრის ხედი; ხაელესიო არქივიდან ხარის ტყავზე გადატანილი წარწერა. დავით გარეჯის მიერ ეკლეზიის დაფუძნების შესახებ; ცეკვა ქართული; ჰიდობა; ქართული ურემი.

ბ. ᲑᲝᲒᲝᲜᲘᲫᲘᲡ, მ. ᲙᲘᲠᲘᲐᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, მ. ᲓᲐᲗᲘᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲚᲘ

ᲨᲣᲐᲚᲐᲛᲔᲓ. ქალაქის არასაუწყებო დაცვის მუშაკები ვ. მინდორაშვილი, ე. ოკრიბელაშვილი და ა. ჰასანოვი მორიგი შემოვლისას ქიმიური ქარხნის მოშორებით ტრიალ ადგილას სიბნელეში მსუბუქ ავტომანქანებს წააწყდნენ. მანქანებში შუქი ენთო.

— ალბათ ბანქოს თამაშობენ. — თეთრეს მათ და ეს ამბავი მაშინვე აცნობეს რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებას.

შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი განყოფილების უფროსის მოადგილე ვ. გავაშვილის მეთაურობით. მასში შეიკრიბნენ ვ. ზამბახიძე, ბ. დვალიშვილი და თ. ქებულაძე. მანქანებში მჯდომი საეჭვო პირები წამოიყვანეს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ნათელი, რომ თურმე ისინი იქ ბანქოს სათამაშოდ კი არ იყვნენ, არამედ...

ამ ღამეს ქიმიური ქარხნის ციანმარილებით დატვირთული ვაგონები შორეული უაზახეთისაკენ უნდა გასდგომოდა გზას და ჯესკაზგანში ჩაეტანათ შაბქიმიკატები. გამცილებელი ციანმარილების საამქროს თანამშრომლები ივანე ჯოგაშვილი და ზურაბ აბულაძე კი სხვებთან ერთად ამ დროს თავიანთ ეიგონში გაფაციცებით ტვირთავდნენ... ვაშლს.

...როგორც კი მეჯერალისტეგელმა ივანე ჯოგაშვილმა გაიგო, რომ ტვირთი რუსეთზე გაელათ ყაზახეთში უნდა ჩაეტანათ, მეწყვილესაგან მიიღო თანხმობა და მუშტრების ძებნას შეუდგა. ერთი კვირით ადრე ჩაედა ქარელის რაიონის სოფელ რუისში. ნაცნობები მოინახულა და უთხრა: ვაგონი მაქვს, რუსთავიდან ვაშლს გატანა შემიძლია. შეგროვდით, მოილაპარაკეთ და წაიღეს. ცოტა ხნის შემდეგ უკვე შეთანხმებული იყვნენ ყველაფერზე. 2,5 ათას მანეთს შეჰპირდნენ.

დათქმული დროისათვის — 13 მარტისათვის ვაშლით სავსე ყუთებით მძიმედ დატვირთული ავტომანქანები რუსთავისაკენ დაიძრა. მათ უკან მსუბუქი მანქანებით ხალხს პატრონები მოსდევდნენ. ესენი იყვნენ რუისელები: საბჭოთა მეურნეობის მუშა ალექსანდრე ზურაბაშვილი, კულტურის სახლის დირექტორი გერმანე გიგაშვილი, მისი ძმა, აგრონომი გიორგი და თაბაშვილის საწყობის გამგე ნიკოლოზ გიგაშვილი, დროებით უმუშევარი თენგიზ ჯოგიჩაშვილი, საბჭოთა მეურნეობის მუშა ალექსანდრე ზურაბაშვილი და ურბნისელი მიხეილ ელიაშვილი.

ბოროტგანმზრახველებმა ღამეს შეაფარეს თავი.

ორი ავტომანქანა, რომლიდანაც უკვე გადაეტანათ ვაშლი ვაგონში, წასასრულებელი მ. აბოვიანცისა და მისი მეწყვილის ბ. მჭედლიშვილის თავის გასამართლებელი არგუმენტები. და ამას ალბათ უკეთესად და საფუძვლიანად მათ საგამოძიებო ორგანოები დაუსაბუთებენ.

რუსთავში მომხდარი ფაქტები მრავალმხრივ არის საყურადღებო და საინტერესო, მაგრამ ჩვენ აქედან ორს გამოვყოფთ. პირველია ის, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, ამ შემთხვევაში ქარელის რაიონის აღმასკომი და პარტიის ქარელის რაიკომი საჯიროო მუშაობას არ ეწევიან მოსახლეობაში საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანის აკრძალვასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ ისინი მიუთითებენ, რომ ქიმიური ქარხნის ადმინისტრაცია, განსაკუთრებით პარტიული კომიტეტი, მტკიცედ არ იბრძვის სამართალდარღვევათა აღმოფხვრისათვის, სოციალისტური საკუთრების დასაცავად. მართალია, ქარხანაში გამოიცა საკმაოდ ვრცელი ბრძანება, რომლითაც მრავალი კონკრეტული ღონისძიებაა დასახული, მაგრამ კოლექტივში სუსტი პოლიტიმზრდელობითი მუშაობის შედეგად რეალური შედეგები არ ჩანს.

პასუხისმგებლობას ვერც რკინგზელები მოიხსნიან. მხედველობაში გვაქვს როგორც ქარხნის საამქრო, რომლის უფროსი გ. შარიქაძეა, ისე რუსთავის სატვირთო სადგური, რომლის უფროსი შ. ელაშვილია. ისინი მოვალენი იყვნენ მეტი სიფხიზლე გამოეჩინათ ჩიხებსა და მისასვლელ ლიანდაგებზე.

მწვავე და პრინციპული საკითხია გაიმართა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკოორდინაციო კომისიაში ქიმიურ ქარხანაში მომხდარი ამბის თაობაზე. კომისიამ წინადადება მისცა რუსთავის ყველა სახის სატრანსპორტო საწარმოს და ორგანიზაციის (გარდა საქალაქო ტრანსპორტისა) ხელმძღვანელებს, აგრეთვე იმათ, რომლებსაც აქვთ რკინგზა, სარკინიგზო ჩიხი, ან ჰყავთ ავტოტრანსპორტი, ფართოდ განიხილონ ქიმიურ ქარხანაში მომხდარი შემთხვევები, დახასხონ ღონისძიებანი ანალოგიური დანაშაულებრივი ფაქტების თავიდან ასაცილებლად.

შესაბამისი ორგანოები იძიებენ სასჯელის სამართლის პასუხისგებაში მიეცემულთა საქმეს.

27 აპრილს ქიმიური ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა ამ საკითხს სპეციალური სხდომა მიუძღვნა. დამნაშავეებს მკაცრი პარტიული სასჯელები დაედოთ. ქარხნის რკინიგზის საამქროს უფროსს გ. შარიქაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო ამ საამქროს პარტბიუროს მდივანს გ. რევაზიშვილს — სასტიკი საყვედური. ცნობად არის მიღებული, რომ დირექტორის ბრძანებით ციანმარილების საამქროს უფროსს თ. მეხრაძეს საყვედური აქვს გამოცხადებული.

დასკვნა ერთია: უნდა გაძლიერდეს სიფხიზლე, კონტროლი და პასუხისმგებლობა.

Ლ. ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ, გაზ-53 კი იქვე იდგა, სცლიდნენ. ერთის შოფერი გორის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაკი რობერტ კუსრაშვილი აღმოჩნდა, ხოლო მეორესი — გორის ავტო-ტექმომსახურებისა — ანდრო მარიამიძე. ერთმა სავსე მანქანამ კი თავს უშველა.

ცხადია, 16 ტონა ვაშლი ჩამოერთვათ და სარეალიზაციოდ რუსთავის კოოპერაციისთვის გადაეცა.

ეს მოხდა 13 მარტს.

მხოლოდ სამი კვირა იყო გასული იმ ავადმოსაგონარი დროიდან — ვაშლის გატანის მცდელობისაგან, რომ 7 აპრილს, ისევ იმ ქარხანაში, ისევ იმ სადგურთან, ისევ ციანმარილების საამქროს გაძცილებლების — ამჯერად მიხეილ აბოვიანცისა და ბეჟან მჭედლიშვილის ეიგონში რკინიგზის თბილისის კვანძის (ნავთლუღის) სახაზო მილიციის რუსთავის პუნქტის თანამშრომლებმა, გ. დეკანოსიძემ და დ. გაჯიევმა კვლავ 20 ტონა ვაშლი აღმოაჩინეს (შემდეგ ეს ვაშლი ქალაქის ხილბოსტნეგაჭრობას გადაეცა გასაყიდად).

ეს მოხდა მაშინ, როცა ვაგონი გაშალებელი იყო წასასვლელად და რუსთავის სატვირთო სადგურში იდგა. ეს ხილიც რუისელებსა და ურბნისელებს კი არ ეკუთვნოდათ, არამედ, როგორც მ. აბოვიანცი ამტკიცებს, მის მშობლებს — ციხვალის რაიონის სოფელ მამისაანთუბნელ არჩილ და სონია აბოვიანცებს, აგრეთვე მის სიძეს, გორის რაიონის სოფელ ზემოხვითელ გიორგი ლაზარაშვილს, რომლებმაც 19 ტონაზე მეტი ვაშლი აჩუქეს მას (!?), (სხვათა შორის, ოფიციალური ცნობით, მიხეილის მშობლებს სულ 0,06 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი აქვთ და 8 ძირი ვაშლი უდგათ, ხოლო მის სიძეს— 0,14 ჰექტარი). და თურმე ნუ იტყვით, რადგანაც მიხეილ აბოვიანცს დრო არ ჰქონდა, რომ ვაშლი ადგილზე დამამზადებელი ორგანოებისათვის ჩაებარებინა, ამიტომ რესპუბლიკის გარეთ — უაზახეთში მიაქონდა სახელმწიფოსათვის მისაყიდად(!)

მოდი და დაიჯერე!

ჯერ ერთი, ყაზახეთში რომ ვაშლი სცოდნია, ნეტამც ჩვენ მოგვცა ისეთი (ჩანს, არ იცოდა მ. აბოვიანცმა, რომ ამ რესპუბლიკის დედაქალაქის — ალმა-ათის სახელი ქართულად ვაშლოვანს ნიშნავს, თორემ ასე არ იცრუებდა). მეორეც ყოველი რეისიდან დაბრუნების შემდეგ გამცილებელს თითქმის ორი კვირა დასვენება ეძლევა და საკვირველია, აბოვიანცმა რატომ ვერ გამონახა დრო „ნაჩუქარი“ ხილის ჩასაბარებლად?

მეორე გამცილებელი ბ. მჭედლიშვილი ირწმუნება, ისე შეუტანია მიხეილს 20 ტონა ვაშლი ვაგონში, რომ არაფერი ვიცოდი, არც წინასწარ შემთანხმებია და როცა ვნახე, ერთხანს კიდევაც გადავწყვიტე, აღარ გავყოლოდი მატარებელსო. ასე ჩამოაგდო ვაშლმა განხეთქილება მეწყვილეთა შორის.

ერთი სიტყვით, გულუბრყვილოდ გამოიყურება დანაშაულზე ეჭვიანი ადამიანების ეს ასეთი ინსტინქტი. ეს ეჭვიანობა ეფუძნება ადამიანთა ურთიერთ ნდობას, ეფუძნება ადამიანთა ურთიერთ ინტერესებს, ეფუძნება ადამიანთა ურთიერთ ინტერესებს, ეფუძნება ადამიანთა ურთიერთ ინტერესებს